თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/1881-14 **17 ივნისი, 2014 წელი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე

სხდომის მდივანი - დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტები - დ. შ., თ. გ., ხ. შ.

წარმომადგენელი - დ. ც.

მოწინააღმდეგე მხარე - სს „ს. ბ.“

წარმომადგენელი - ნ. კ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

დავის საგანი – საკრედიტო დავალიანების გადახდევინება

1. აპელანტების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სს „ს. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნა: მოპასუხეებს - დ. შ.-ს, თ. გ.-ს და ხ. შ.-ს მოსარჩელე სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროთ ძირითადი დავალიანების 8119.93 ლარის, პროცენტის 9048.46 ლარისა და ჯარიმის 29 030.24 ლარის გადახდა. თავდების ხ. შ.-ს პასუხისმგებლობა განისაზღვროს თავდებობის ზღვრული თანხის 17 520 ლარის ფარგლებში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სს „ს. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეებს - დ. შ.-ს, თ. გ.-ს და ხ. შ.-ს მოსარჩელე სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრათ ძირითადი დავალიანების 6296.13 ლარისა და პროცენტის 1907.59 ლარის გადახდა. მოპასუხეებს - დ. შ.-ს და თ. გ.-ს მოსარჩელე სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ, მიუღებელი შემოსავლის სახით, დაეკისრათ 2354.46 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით, 2888.80 ლარის გადახდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 2009 წლის 20 მარტს, ერთი მხრივ, სს „ს. ბ.-ს” და მეორე მხრივ, დ. შ.-ს და თ. გ.-ს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დ. შ.-ზე და თ. გ.-ზე გაიცა სესხი 8760 ლარის ოდენობით, 36 თვის ვადით, საპროცენტო სარგებლის წლიური 28.7%-ის დარიცხვით.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
მოსარჩელის ახსნა-განმარტება.
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ს.ფ. 15).

2.2. მსესხებლების მიერ ათვისებულია ბანკის მიერ გაცემული კრედიტის თანხა.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
მოსარჩელის ახსნა-განმარტება.
ცნობა დავალიანების არსებობის შესახებ (ს.ფ. 24).
ნაერთი ამონაწერი პირადი ანგარიშიდან (ს.ფ. 22).

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.3. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0.5%.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
მოსარჩელის ახსნა-განმარტება.
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ს.ფ. 15).

2.4. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, წერილობითი განცხადებით, ძირითადი მოვალის მიერ თანხის გადაუხდელობის, ან გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, სოლიდარული თავდებობა იკისრა ხ. შ.-მ ბანკის მიერ გაცემული თანხის 8760 ლარის ორმაგი ოდენობით, რაც 17 520 ლარს შეადგენს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
მოსარჩელის ახსნა-განმარტება.
წერილობითი განცხადება სოლიდარული თავდებობის შესახებ (ს.ფ. 19).

2.5. სარჩელის მოთხოვნა, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკით 2010 წლის 31 მაისამდე გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტის, ასევე გადაუხდელ თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში, ხანდაზმულია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. მხარეები შეთანხმდნენ კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის გრაფიკზე, რომლის მიხედვით, კრედიტის თანხა მსესხებელს უნდა დაეფარა 2009 წლის 20 მარტიდან ყოველთვიურად 2012 წლის 30 მარტამდე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული თითოეული გადახდის შემთხვევაში უნდა განსაზღვრულიყო ცალ-ცალკე. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა სარჩელის შემოტანამდე, 2010 წლის მაისამდე, გრაფიკით გადასახდელ ძირითად თანხაზე 2463.87 ლარსა და პროცენტზე 2659.99 ლარზე და მასზე დარიცხულ პირგასამტეხლოზე ხანდაზმულია.

2.6. 2010 წლის 30 ივნისიდან - 2012 წლის 30 მარტამდე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკით გადასახდელი ძირითადი თანხაა 6296.13 ლარი, პროცენტი 1907.59 ლარი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დანართი №1 (ს.ფ. 18).

2.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულების ბოლო ვადის გასვლიდან - 2012 წლის მაისიდან 2013 წლის მაისამდე გადაცილებულ 1 წელიწადზე, გადაუხდელი თანხის 8203.72 ლარის წლიური 28.7% შეადგენს 2354.46 ლარს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ს.ფ. 15).

2.8. 2010 წლის 31 მაისიდან გადასახდელ თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოა 28 888.08 ლარი.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად მსესხებელს 2010 წლის 30 ივნისიდან უნდა გადაეხადა 365.99 ლარი (ძირი და პროცენტი) 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით. 2012 წლის 30 მარტს გადასახდელი თანხაა 517.93 ლარი.

2010 წლის 30 ივნისს მსესხებელს უნდა გადაეხადა 365.99 ლარი (ძირი და პროცენტი). 30 ივლისამდე გადაცილებულ 30 დღეზე გადაუხდელი თანხის 365.99 ლარის 0.5% გადაცილებული დღეების გათვალისწინებით შეადგენს 54.89 ლარს. 30 აგვისტოსათვის გადაუხდელი თანხაა 731.98 ლარი, ამ თანხის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 113.45 ლარს. 30 სექტემბრისათვის გადაუხდელ თანხის 1097.97 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 170.18 ლარს. 29 ოქტომბრისათვის გადაუხდელი თანხის 1463.96 ლარის 0.5% გადაცილებულ 29 დღეზე შეადგენს 212.27 ლარს. 30 ნოემბრისათვის გადაუხდელი თანხის 1829.95 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 283.64 ლარს. 30 დეკემბრისათვის გადაუხდელი თანხის 2195.94 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 329.39 ლარს. 2011 წლის 31 იანვრისათვის გადაუხდელი 2561.93 ლარის 0.5% გადაცილებულ 32 დღეზე

შეადგენს 409.90 ლარს. 28 თებერვლისათვის გადაუხდელი თანხის 2927.92 ლარის 0.5% გადაცილებულ 28 დღეზე შეადგენს 409.90 ლარს. 30 მარტისათვის გადაუხდელი თანხის 3293.91 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 494.08 ლარს. 29 აპრილისათვის გადაუხდელი თანხის 3659.9 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 548.98 ლარს. 30 მაისისათვის გადაუხდელი თანხის 4025.89 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 624.01 ლარს. 30 ივნისისათვის გადაუხდელი 4391.88 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 680.74 ლარს. 29 ივლისისათვის გადაუხდელი 4757.87 ლარის 0.5% გადაცილებულ 29 დღეზე შეადგენს 689.89 ლარს. 30 აგვისტოსათვის გადაუხდელი თანხის 5123.86 ლარის 0.5% გადაცილებულ 32 დღეზე შეადგენს 819.81 ლარს. 30 სექტემბრისათვის გადაუხდელი თანხის 5489.85 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 850.92 ლარს. 31 ოქტომბრისათვის გადაუხდელი თანხის 5855.84 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 907.65 ლარს. 30 ნოემბრისათვის გადაუხდელი თანხის 6221.83 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 933.27 ლარს. 30 დეკემბრისათვის გადაუხდელი თანხის 6587.82 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 988.17 ლარს. 2012 წლის 30 იანვრისათვის გადაუხდელი თანხის 6953.81 ლარის 0.5% გადაცილებულ 31 დღეზე შეადგენს 1077.84 ლარს. 29 თებერვლისათვის გადაუხდელი თანხის 7319.8 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 1097.97 ლარს. 30 მარტისათვის გადაუხდელი თანხის 7685.79 ლარის 0.5% გადაცილებულ 30 დღეზე შეადგენს 1152.86 ლარს. 30 მარტიდან 2013 წლის 25 მაისამდე გადაცილებულ 391 დღეზე გადაუხდელი თანხის 8203.71 ლარის 0.5% შეადგენს 16 038.27 ლარს (მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ვაგადაცილების ვადამდე, იხ. ცნობა დავალიანების არსებობის შესახებ).

შესაბამისად, სულ დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 28 888.08 ლარს.

2.9. სს „ს. ბ.-მ“ მსესხებლების მიერ ძირითადი ვალის გადაცილების შესახებ არ აცნობა თავდებს ხ. შ.-ს.

სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით (სსსკ-ის 102-ე მუხლი).

საქმეში არ არის წარმოდგენილი შეტყობინება, რომლითაც ბანკმა აცნობა თავდებს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების თაობაზე. მოპასუხე სადავოდ ხდის სს „ს. ბ.-საგან“ ამ ინფორმაციის მიღებას. მხოლოდ მოსარჩელის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია მოსარჩელის მხრიდან ამ ვალდებულების შესრულების გარემოება.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით, კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

დგინდება, რომ მხარეებს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად, სს „ს. ბ.-ს“ წარმოეშვა მსესხებლების დ. შ.-სა და თ. გ.-სათვის თანხის გადაცემის ვალდებულება, ხოლო მსესხებელს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება. ბანკის მიერ შესრულდა ნაკისრი ვალდებულება, გაიცა კრედიტი შეთანხმებული ოდენობით, მსესხებლის მიერ არ შესრულდა ფულადი ვალდებულება შესრულებისთვის დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. რადგან სარჩელის მოთხოვნები 2010 წლის მაისამდე ხანდაზმულია. სარჩელის მოთხოვნა ამ პერიოდამდე გადასახდელი სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის ნაწილში, ასევე ამ თანხაზე პირგასამტეხლოს დარიცხვის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2.11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობით.

სს „ს. ბ.-ს“ და მოპასუხე ხ. შ.-ს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მან იკისრა პასუხისმგებლობა 17 520 ლარის ფარგლებში მსესხებლების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.
>
> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ს. ბ.“ უფლებამოსილი იყო, მსესხებლებისაგან მოეთხოვა ხელშეკრულებით გადაცემული კრედიტის თანხის 6296.13 ლარის დაბრუნება.

2.12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისთვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

კრედიტორი სს „ს. ბ.” უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლებისაგან 1907.59 ლარის გადახდის დაკისრება, რაც არის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დარიცხული პროცენტი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, კრედიტორი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ხ. შ.-საგან მსესხებლებთან ერთად სოლიდარულად სესხის თანხის 6296.13 ლარისა და პროცენტის 1907.59 ლარის გადახდა.

2.13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისაღებ სარგებელზე.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსესხებლებს კრედიტორის, სს „ს. ბ.-ს“ სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2354.46 ლარის გადახდა, ფულადი ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

2.14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

ამავე კოდექსის 418-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. ხელშეკრულება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევმა მხარემ უპირობოდ უნდა მოახდინოს პირგასამტეხლოს გადახდა. განსახილველ შემთხვევაში არსებობს მხარეების მიერ დადებული წერილობითი გარიგება, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგენს პირგასამტეხლოს. დადგენილია, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა და არ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ყველა პირობა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილებას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ სასამართლო იღებს არა მარტო ქონებრივი, არამედ ყველა პატივსადები ინტერესის გათვალისწინებით.

პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. ვალდებულების დარღვევამდე პირგასამტეხლო ემსახურება ვალდებულების შესრულების სტიმულირებას, ვინაიდან მოვალემ იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მას მოუწევს გარკვეული საზღაურის გადახდა. პირგასამტეხლო ატარებს პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას. შესაბამისად, პირგასამტეხლო რომელიც გადააჭარბებს ამ ოდენობას, იძენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს. მნიშვნელოვანია, რომ პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, ვალდებულების დარღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა. მართალია, კრედიტორს ენიჭება პირგასამტეხლოს უპირობოდ მოთხოვნის უფლება, მაგრამ მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

სასამართლოს განმარტებით, პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუსაბამოდ მაღალი იყო საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს განაკვეთი - დავალიანების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვინაიდან ყოველდღიური 0,5% თვეში (30 დღე) შეადგენს - 15%-ს, ხოლო წელიწადში 12 თვეზე - 182.5%-ს, რაც ეწინააღმდეგება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ გონივრულობის სტანდარტებს.

სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბევრად აღემატება სესხის ძირითად თანხას და პროცენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს განაკვეთი 0.5%-დან შემცირებულიყო 0.05%-მდე და შესაბამისად, შემცირდა პირგასამტეხლოს ოდენობა 2888.80 ლარამდე.

2.15. სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ კრედიტორმა არ შეატყობინა თავდებს ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ თავდების პასუხისმგებლობა შეამცირა და სს „ს. ბ.“ არ მიიჩნია უფლებამოსილად, მოეთხოვა ხ. შ.-საგან

ფულადი ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს და ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესრულება.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

დ. შ.-სა და თ. გ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი საფუძვლები

3.1. 2009 წლის მარტიდან თ. გ.-ს მოპასუხისათვის საკრედიტო გრაფიკით გათვალისწინებული თანხა არ გადაუხდია. კრედიტორმა სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისს მიმართა. ხანდაზმულობის ვადის დენა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან იწყება. ვინაიდან სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნა 2009 წლის მარტის თვეში წარმოეშვა, მისი მოთხოვნა კრედიტის დაბრუნების თაობაზე, ხანდაზმულია.

3.2. სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, კანონი კრედიტორს ანიჭებს უფლებას შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ სულ ცოტა ორ ვადას, მათ შორის, მაშინაც, თუ მიცემულია ორკვირიანი დამატებითი ვადა და არ მოხდა გადახდა. ამდენად, ბანკმა ნაწილ-ნაწილ გადასახდელი კრედიტისთვის სულ ცოტა ორი ვადის და წერილობითი გაფრთხილების უშედეგოდ გასვლის გამო, არ შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება, რისი უფლებაც მას 2009 წლის მარტის თვეში წარმოეშვა. შესაბამისად, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტისა და თანხის დაკისრების მოთხოვნა ხანდაზმულია.

3.3. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად მიიჩნია, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული თითოეული გადახდის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ცალ-ცალკე. ხანდაზმულობის ვადის არასწორად გამოთვლის შედეგად, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლი, რომლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც.

ხ. შ.-ს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

3.6. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს არასოდეს მიუმართავს ხ. შ.-სათვის წერილობითი გაფრთხილებით ან გადახდის მოთხოვნით, აგრეთვე, არ შეუსრულებია სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება (იხ. სარჩელი და მასზე დართული დოკუმენტები), მან მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი დაკარგა.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო

სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ აპელანტები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობებზე აპელირებისას, სადავოდ არ ხდიან დაკისრებული თანხების ოდენობას. სააპელაციო საჩივრების ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ აპელანტებს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით, საერთოდ არ უნდა დაკისრებოდათ. შესაბამისად, სააპელაციო პალატა სააპელაციო საჩივარზე მსჯელობს მხოლოდ მის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ამოწმებს დაკისრებული თანხების ოდენობასა და მისი გამოანგარიშების წესს **(იხ. სააპელაციო საჩივარი და თბილისის სააპელაციო პალატის 2014 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმი).**

4.1. სს „ს. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნა 2010 წლის 31 მაისიდან ხანდაზმული არ არის.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2009 წლის 20 მარტს, ერთი მხრივ, სს „ს. ბ.-სა“ და მეორე მხრივ, დ. შ.-სა და თ. გ.-ს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, დ. შ.-სა და თ. გ.-ზე გაიცა სესხი 8760 ლარის ოდენობით, 36 თვის ვადით, საპროცენტო სარგებლის წლიური 28.7%-ის დარიცხვით.

აპელანტების განმარტებით, სს „ს. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან კრედიტის გამცემს, სს „ს. ბ.-ს“ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტისა და კრედიტის სახით გაცემული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება 2009 წლის მაისში წარმოეშვა, ვინაიდან ამ დროისათვის, გრაფიკით გათვალისწინებული შესრულების ვადა მოვალეს უკვე ორგზის (აპრილისა და მაისის თვეში) დარღვეული ჰქონდა. შესაბამისად, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნა 2013 წლის ივნისში ხანდაზმულია. აღნიშნულ განმარტებას სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

განსახილველი მუხლი ეხება საბანკო-საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტას კრედიტის არა მიმღების, არამედ გამცემის მიერ. ეს შესაძლებელია კანონიერი საფუძვლის არსებობისას. ასეთ საფუძვლად კი მიჩნეულია კრედიტის ამღების მხრივ კრედიტის ნაწილის, სულ ცოტა, ორი

ვადით გადახდის გადაცილება მაშინ, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება განსაზღვრულ ვადაში.

დასახელებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტის გამცემს უფლება აქვს მოითხოვოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი კრედიტის ამღები ზედიზედ ორჯერ არ შეასრულებს კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნების ვალდებულებას. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადების უფლება, ისევე როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, თავისუფალი კონტრაგირების ერთ-ერთი გამოვლინებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი თავად წყვეტს, მიუხედავად კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების დარღვევისა, დარჩეს ხელშეკრულებაში, თუ შეწყვიტოს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება წარმოადგენს კრედიტის გამცემის უფლებას და არა მის ვალდებულებას. ხელშეკრულება შესრულების ზედიზედ ორჯერ ვადის გადაცილებით ავტომატურად არ წყდება. მხარეებმა უნდა გამოხატონ ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე. კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამდენად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლი წარმოადგენს კრედიტორის უფლებას და არა ვალდებულებას, ხელშეკრულების ორჯერ დარღვევა, უპირობოდ, ვალდებულების შეწყვეტილად მიჩნევისა და მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყებასაც ვერ გამოიწვევს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრა. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ სს „ს. ბ.-მ“ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოს 2013 წლის

ივნისში მიმართა. შესაბამისად, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოიშობა, სამ წელს შეადგენს, ამიტომ, სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნა სარჩელის შეტანამდე ბოლო სამი წლის პერიოდისათვის ხანდაზმული არ არის.

4.2. ხ. შ.-ს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ ხ. შ. მსგავსად თ. გ.-სა და დ. შ.-სა, აპელირებს რა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ამავდროულად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მას, როგორც თავდებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ უნდა დაკისრებოდა, ვინაიდან ბანკმა მას მოვალეთა მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე არ შეატყობინა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის მიხედვით, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ. თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.

პალატა განმარტავს, რომ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა თავდების პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლებას არ იწვევს. აღნიშნული მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველია. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დგება და რომელიც არ დადგებოდა კრედიტორს თავდების მიმართ თავისი ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, ჯეროვნად რომ შეესრულებინა. სწორედ აღნიშნული პრინციპით იხელმძღვანელა პირველი ინსტანციის სასამართლომ და **ხ. შ.-ს პირგასამტეხლო და მიუღებელი შემოსავალი არ დააკისრა,** რითაც თავდები ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სრულად გაათავისუფლა. შესაბამისად, პალატა ვერ გაითვალისწინებს აპელანტ ხ. შ.-ს არგუმენტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლზე დაყრდნობით გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ხ. შ.-სთან მიმართებით მოთხოვნის ხანდაზმულობას, პალატა სს „ს. ბ.-ს“ მოთხოვნას მის მიმართაც არ მიიჩნევს ხანდაზმულად ზემოთ განვითარებულ სამართლებრივ არგუმენტაციაზე დაყრდნობით **(იხ. სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია 4.1.).**

ამდენად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი დასკვნები გააკეთა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მართებულად დააკმაყოფილა სს „ს. ბ.-ს“ სარჩელი ნაწილობრივ.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. ამდენად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დ. შ.-ს, თ. გ.-სა და ხ. შ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება;

3. აპელანტების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე **ქეთევან მესხიშვილი**

მოსამართლეები: **ნატალია ნაზღაიძე,**

ნათია გუჯაბიძე